№ 247
შაბათი, 29 ნოემბერი, 1897 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10— | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1897

# ივერია

№ 247
შაბათი, 29 ნოემბერი, 1897 წ.
რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის“ ტელეფონი № 227


## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 4 დეკემბერს,

ბენეფისი ვ. გამყრელიძისა

ქართულის დრამატიულის დასისაგან

წარმოდგენილი იქნება

პირველად ახალი პიესა

**მ ა მ ა**

დრამა 5 მოქმ. თხზ. ი. ლაზარიაშვილისა

დ ა ს ა ს რ უ ლ

**ბარაქალა მასწავლებელო**

ვოდევილი 1 მოქმ. თარგმ. მ. საფაროვისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, კარგარეტელი, რჩეულოვისა, რიონელი; ბ-ნნი აბაშიძე, გამყრელიძე, სვიმონიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, მჭედლიშვილი, ადამიძე, კარბელი, საფაროვი, გვარამაძე, აბრამოვი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი კ. მესხი


## ახალი ამბავი

*** ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა ქალაქის საბჭოს დადგენილება პურისა და ხორცის ნიხრის შეცვლის შესახებ.

*** ხმ. ნ. ი. თამამშევმა წინადადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში, რომ ყრუ-მუნჯთათვის ტფილისში სასწავლებელი იქმნას დაარსებული. ბ-ნ თამამშევის ანგარიშით სასწავლებელს დასჭირდება წლიურად 1,800 მან. და ერთხანად 5,000 მ. სასწავლებელში პირველად, ბ ნ თამამშევის აზრით, ოცი კაცი უნდა იყოს და ხუთი სტიპენდია. ამ სასწავლებელის დაარსებისათვის ფონდის შესადგენად ბ-ნმა თამამშევმა ასი მანეთი შესწირა.

*** სახელოსნო ამქრების უსტაბაშების არჩევანები ამ დღეებში დასრულდება. სამი უსტაბაში-ღაა ამოსარჩევი. ხელოსანთა მოურავის არჩევანები 7 დეკემბრისთვის არის დანიშნული. არჩევანები ქალაქის საბჭოს დარბაზში იქნება.

*** 25 ნოემბერს გორის სასამართლოს მოსამართლემ გაარჩია გორის მოურავის გულიშამბაროვის საქმე, რომელმაც პოლიციის თხოვნა არ აღასრულა და ქვა-ფენილი არ დააგო თავისს სახლის წინ. გულიშამბაროვმა სასამართლოს მოახსენა, რომ სახლების წინ ქვა-ფენილის დაგება ქალაქის თვით-მმართველობის მოვალეობაა და ამიტომ ჩემს თავს დამნაშავედ არა ვცნობო. ბოქაულის თანაშემწემ თავ. ავალიშვილმა საპასუხოდ ისა სთქვა, რომ გულიშამბაროვი, როგორც ქალაქის თვით-მმართველობის წარმომადგენელი, მოვალეა თვალ ყური ადევნოს ქვა-ფენილის დაგების საქმეს, მაგრამ პირველად თითონ არ ასრულებსო. მოსამართლემ გულიშამბაროვი გაამართლა. ამ ნაირად ბ-ნი ქალაქის მოურავი გამართლებულ იქმნა, მაგრამ ქალაქის ქუჩების ქვით მოკირწყვლისა და ქვა-ფენილის დაგების საქმე-კი დარჩა ისევ ღვთის ანაბარად. ნეტა ახლა ვინ უნდა ამოაშროს ტალახის გუბე გულიშამბაროვის სახლის წინ და დააგოს ქვა-ფენილი, სასანიტარო კომისიამ თუ პოლიციამაო, კითხულობს გაზ. „კავკასიის“ კორესპონდენტი.

*** გაზ. ,,Бирж. Вѣд.''-ს სიტყვით, ამ ახლო მომავალში 50 მან. და 500 მან. ქაღალდის ფული იქმნება გამოცემული. ამასთან 100 მან. ფულზედ იმპერატორის პეტრე I სურათი იქმნება დახატულიო.

*** გაზ. „ახ. მიმ.“ სწერს, რომ კნ. ნ. დ. ჩოლოყაშვილის მეცადინეობით ამ დღეებში სცენის მოყვარეთაგან ქართული დრამატიული საზოგადოების სასარგებლოდ სახელმწიფო თეატრში ქართული წარმოდგენა იქმნება გამართული. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებენ: კნეინა ს. მ. წერეთლისა და მ. ი. ჩოლოყაშვილისა და თავადის ასულნი: ნ. ი. ამილახვარი, ს. ზ. ანდრონიკაშვილისა, ბ. ა ბაგრატიონ-დავითაშვილისა, ე. ლ. მაღალაშვილისა, ე. მ. წერეთლისა, თავადნი: ა. რ. ვახვახიშვილი, ნ. მ. ჯორჯაძე, თუმანიშვილი, დ. ე. ჩოლოყაშვილი, დ. მიქელაძე, აბაშიძე და სხვ. რეჟისორობას ვ. ა. სულხანიშვილი გასწევს. ცოცხალს სურათებს მხატვარი კოლჩინი დასდგამს.

*** იმავე გაზ. სწერენ ქუთაისიდგან, რომ 17 ნოემბერს ყვირილაში თავს დაესხნენ იქაურ მცხოვრებელს თავ. როსტომ ბაგრატიონსაო. საქმე ასე ყოფილა. როსტომ ბაგრატიონს ქუჩაში შორაპნის მაზრის სოფ. ღვანკითის მცხოვრებლები სამსონ ყიფიანი და ნიკოლოოზ ლორთქიფანიძე შეხვდნენ თურმე. ყიფიანმა დიდი ქვა აიღო და სახეში ესროლა ბაგრატიონს, რის გამოც ეს უკანასკნელი უკვე უგრძნობლად დაეცა. როდესაც პოლიცია მივიდა, ყიფიანმა არა სთქვა იმის მიზეზი, თუ რად დასჭრა ბაგრატიონი. ხოლო როდესაც ბაგრატიონი გონს მოვიდა, სთქვა, რომ ამ დღეებში ყიფიანი ვიღაც საეჭვო კაცებთან ერთად ღამე თავს დამეცა, როდესაც სახლში მივდიოდი. ყიფიანს დიდი კეტი ეჭირა, მომიქნია, უნდა მოერტყა, მაგრამ ჩემს ცხენს მოარტყა თავში, რომელიც მაშინვე გაიქცა და გადამარჩინაო.

*** გაზ. ,,ახ. მიმ.'' ხარკოვიდგან სწერენ, რომ 20 ნოემბერს საკომერციო კლუბის დარბაზში ღარიბ ქართველ და სომეხ სტუდენტთა სასარგებლოდ ჩვეულებრივი ,,კავკასიის საღამო'' იქმნა გამართული. საღამო დაიწყო საკონცერტო განყოფილებით, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: ისპანიის მომღერალმა ქალმა ჯუზეპინა უტეტმა, მოსკოვის ოპერის არტისტმა კლემენტიევმა, ხარკოვის საოპერო დასის არტისტებმა, თავ. ბ., რომელმაც მშვენიერად აღასრულა საერო სიმღერები თარზედ და სხვათა. კონცერტს მოჰყვა ცოცხალი სურათები: ,,ოსმალებისა და ქურთების მიერ აკლებული სომხის სოფელი'' ,,ქეთევან დედოფლის წამება'' და შემდეგ გაიმართა ლეკური და კინტოური, რომლითაც თავი ისახელეს სტუდენტთ მ. და ბ. საერთოდ საღამომ მშვენივრად ჩაიარა, შემოსავალი 1,590 მან. იყო და, ხარჯს გარდა, 250 მანეთამდე დარჩებაო.

*** სოფ. მონასტერი, (ქსნის ხეობა). ს. მონასტრის საზოგადოებაში სცხოვრობს ერთი საწყალი „მთიული“—ხელმარტო, ცოლის ანაბარა. ცოლს წინადღეებში ქმართან ლაპარაკი თურმე ჰქონია თავისის ოჯახის სიღარიბის შესახებ. უთხრა თურმე ცოლმა: გადი გარეთ, შენის ოფლით შემოიტანე ან პური, ან ქერი, ამ ზამთრით თავი დავირჩინოთო. ერთი თუმანი გვაოხ-

## ფელეტონი

### „ერთად... ერთად!...“

ეტიუდი

I

— მიხაკოს გაუმარჯოს!..

— ზაბითს ვახლავართ...

— მოხარული ვარ, რომ უცხოეთში ის ვიპოვნე, რაც ჩვენში არ შემეძლო... და, ეხლა იმედიანადა-ვარ, ეხლა-კი მწამს, რომ რჯულის სხვა-და-სხვაობა არ დაგვიშლის მეგობრობას. საკმარისია გვესმოდეს ერთმანეთის ავი და კარგი, ვიცოდეთ რა გვჭირია. ამას იქით, ძმაო მიხაკო, „შენობით“ ვილაპარაკოთ, როგორც ნამდვილმა მეგობრებმა.

— ბატონი ბრძანდები, თუ-კი ეს დაგვამეგობრებს და თუ ეს სიტყვები გულწრფელობით არის ნათქვამი, რასაც თქვენ—ახ!.. უკაცრავად!—შენ ამბობ...

— გულ-წრფელობით, გულ-წრფელობით... ამას იქით მე და შენ მეგობრები ვართ,—ხომ იცი მეგობრობა რა არის?!.

— ჰა... ჰა... ჰა... როგორ არ ვიცი!.. ორივემ ერთ გობში უნდა ვჭამოთ, ჩემი—შენი უნდა იყოს და შენი—ჩემი. ვთქვათ: ერთად უნდა ვჭამოთ, ერთად უნდა მოვიგოთ, თანასწორად გავიყოთ... ახ, მაინც ვერა ვთქვი კარგად—ერთ ტაფაში უნდა ვიხრაკებოდეთ.—მაცა... მაცა: „მე“—შენ უნდა ვიქნე და „შენ“ მე.. ასე არ არის?..

— ეი-ვახ!.. შენ პირადად სჯი... მე-კი, სულ სხვაფრივ მწამს. მეგობრობა ჩემებურად „ძმობა-ერთობა“ არის, მაგრამ მარტო მე და შენი კი არა, სრულიად ჩვენი და თქვენი.

— ოხ!.. რა ტკბილია, ძმაო ზაბით, შენი განმეორებული სიზმარი. მე ბევრჯელ და ბევრისაგან გამიგონია ამ რიგი სიზმრები..

— რაო!.. სიზმარი?..—შენ გეტყობა ჩემი ზღაპარი არ წაგიკითხავს?..

— არც გამიგონია, ჩემო ზაბით ..

— მაშ, აჰა, წაიკითხე და გაიგებ, სიზმარია თუ ცხადი. წაიკითხე და გაიგებ, ხომ იცი, რომ ზღაპარი ყოველთვის ხალხის გულიდგან არის ამოღებული?!.

— არა, სჯობს შენ წაიკითხო, რადგან შენს ნაწერსა და შენს ამბავს შენ უფრო კარგად წაიკითხავ.

— მაშ კარგი, მოიტა აქ,მე წაგიკითხავ!..

II

„იყო და არა იყო-რა—იყო ერთი ქვეყანა. იქ... სადღაც შორს... ძალიან შორს. იმ ქვეყანას თურმე ჰქონდა ერთი ისეთი ვეებერთელა გზა, რომელსაც ერთ დროს კაცი ვერ მოუვლიდა. თურმე ეს ქვეყანა ქვეყანამ იცოდა. დიაღ, იყო ასეთი საუცხოვო ქვეყანა, მაგრამ ეხლა-კი მარტო ზღაპარი-ღა დარჩენილა ამ ქვეყნის შესახებ. როგორც ზღაპარში სჩანს,—ეს ქვეყანა მშვენიერი ქვეყანა ყოფილა. ერთხელ ამ ქვეყანაში მოგზაურობა ძალიან სიშიში იყო. თურმე იქ ჰბუდობდენ სხვა-და-სხვა ჯურის მავნე მხეცები. ქვეყანა თურმე სრულიად უბადური ტყე იყო.

„ამ ქვეყანას რქმევია კაინის ქვეყანა. ამ ზღაპარის გმირი „ჩანჩურა“ მოგვითხრობს, რომ კაინი და აბელი ამ ქვეყანაში სცხოვრობდნენო და ვითომ აქ მოეკლას კაინს აბელი—თავისი ძმა.

„აი, იმ ქვეყანაში, იქ... სადაც ძმამ ძმის სისხლი დაღვარა, იქ, სადაც ერთს დროს მარტო მხეცები ჰბუდობდნენ, სცხოვრობდა ერთი საუცხოვო „ქაჯი“—ტყის ქალი, რომელიც უბრძანებდა ყოველ სულდგმულს, ვისაც-კი შეეძლო იქ ყოფნა. ეს ქაჯი ისეთი ლამაზი, ახოვანი, მიმზიდველი და მრისხანე იყო, რომ ყველა შინაური,ველური მხეცკაცი, თუ ნამდვილი მხეცი მისი მონა იყო. ქაჯი ყველას იცნობდა, იმას-კი ვერავინ იცნობდა. ქაჯს ყველანი უყვარდა, მაგრამ მისი-კი ყველას ეშინოდა.

„დიაღ, იმას ყველა უყვარდა,ყველა მიაჩნდა, მხოლოდ უტყვი იყო და ვერ ასმენდა მონებს, რომ იმას განურჩევლად ჯინ-ჯურობისა, ყველანი თანასწორად უყვარდა, თანასწორად მიაჩნდა. ის უგუნურნი-კი ცალკ-ცალკე სცდილობდნენ თავი შეეყვარებიათ იმისთვის.

„დაიწყეს ცდა, განვლო საუკუნეებმა, მხოლოდ ქაჯი მაინც ისე უტყვი, შეუგნებელი დარჩა.

III

„თურმე საიდუმლო რამ იფარებდა და თუ ამ საიდუმლოს ვერ გაიგებდნენ, ისე არ შეიძლებოდა გაეგოთ ქაჯის სურვილი, მოეგოთ მისი გული, აემეტყველებინათ მისი მშვენიერი ენა. მიხვდნენ ამას. დაუწყეს საიდუმლოს ძებნა. ერთს ეგონა ამას აქვსო, მეორეს ეგონა იმას აქვსო. შეექნათ ურთიერთ შორის ბრძოლა, შეაწყდა მხეცი მხეცს და კაცი კაცს, დადგა სისხლის ღვარი, განადგურდა ქვეყანა.

„საზარელი იყო თურმე იმათი მდგომარეობა: ძმა ძმას არ ინდობდა, მამა—შვილს და შვილი—მამას. მტერიც მტერი იყო და მოყვარეც.

„იქაურ მოხუცთ ჩანჩურასთვის უთქვამთ: „გადმოდგებოდა ქაჯი მაღლობზედ და როცა ჰნახავდა იმათს უგუნურსა და თავ-განწირულს ბრძოლას, ჯერ თურმე გაიქნევდა ნაღვლიანად თავისს მშვენიერს თავს აქეთ-იქით, შემდეგ-კი დაიწყებდა ტირილს. ბოლოს უცებ გადიხარხარებდა, დასცინებდა ყველას და უჩინო გახდებოდაო“.

„უთვალავმა წლებმა გაირბინა ამ მდგომარეობაში. ჩხუბს, აყალ-მაყალს, მტრობა-ქიშპობას საზღვარი არა ჰქონდა, ჩამომავლობა ჩამომავლობას სცვლიდა, ჯური-ჯურას. გაითელა მთელი ქვეყანა, გაწყდნენ მკვიდრნი, დასუსტდნენ მხეცნი, მხოლოდ საიდუმლო საიდუმლოდვე დარჩა.

„ქაჯი-კი ისევ ისე მშვენიერი,ისევ ისე ახოვანი, შეუპოვარი, მიუკარებელე იყო. ის ისევ იმ საიდუმლოს ახსნას ელოდდა. თუმცა იმისთვის-კი სულ ერთი იყო, ვინც ამ საიდუმლოს შეიგნებდა, ის იმას დაუახლოვდებოდა, იმას შეატკბობდა.

IV

„ჩანჩურას აზრით, მთელს ამ ქვეყანაში მარტო ერთმა იცოდა ეს საიდუმლო და ისიც დატყვევებული

რია, „ფოჰტის“ ფულში წაიღებენ, მშივრები ამოვიხოცებით;მეც მომწყინდასილატაკე—მეტი აღარ შემიძლიანო. ქმარმა ბევრი იხვნეშა,მაგრამ სად გავიდოდა! ახლო-მახლო ოფლით-ღუკმას ვერ იშოვიდა და შორი გზაც არ იცოდა, იფიქრა: მეზობლობაში ხელს გავიმართავ, ცოტას ჩემი თუმნითაც ვიყიდი და ამ ზამთარს თავს დავირჩენო. ამასობაში, ხარჯის გაწერაც მოხდა. მოხელეებმა ის თუმანიცააშვლიპეს, რადგან „ნედოიმკა“ არის, წელს ბევრი შეგხვდაო. რაღას იზამდა საწყალი მთიული!.. მეორე დღეს ტყეში წავიდა სახლში შეშის მოსატანად და საღამოს ცოლი თოკზედ ჩამომხრჩვალი დახვდა.

## თეატრის მატიანე

„ჩემს ცოლს ვეყრები“, სარდუს კომედია. გადმოკეთებული ბ-ნ ვ. აბაშიძის მიერ.

„ხანუმა“, ა. ცაგარლის კომედია.

გუშინ წინ, 27 ნოემბერს, ქართულ თეატრში ბ-ნ ვ. აბაშიძის საბენეფისოდ წარმოადგინეს კომედია „ჩემს ცოლს ვეყრები“, გადმოკეთებული სარდუს პიესიდგან. წარმოდგენას დიდ ძალი ხალხი დაესწრო: თეატრში ტევა არ იყო. ეჭვი არ არის, ეს იშვიათი ამბავი იმას უნდა მიეწეროს, რომ საზოგადოებამ მოისურვა პატივი ეცა საყვარელის არტისტისათვის.

კომედია „ჩემს ცოლს ვეყრები“ უწინაც ბევრჯერ წარმოუდგენიათ ქართულს სცენაზედ, მხოლოდ სხვა სახელით. «უნდა გავიყარნეთ» ეს იყო უწინ სახელი ამ პიესისა. ეხლა კი ბ-ნ ვ. აბაშიძეს კომედიისათვის სახელი გამოუცვლია და ახალის სახელით მოუნათლავს. ამით, რა თქმა უნდა, არაფერი დაშავებულა, პიესა ისევ ის დარჩა, მხოლოდ ზოგიერთი როლები ამ ხანად სხვა, ახალმა არტისტებმა ითამაშეს. ამით-კი, რაც არ დაშავდა, პიესას არაფერი მოემატა.

ეს პიესა ისეთია, რომ თუ კარგად, მწყობრად და როლების შეგნებით არ ითამაშეს არტისტებმა, მაყურებელს ვერაფრად მოეწონება. საზოგადოდაც ხომ ასეა, მაგრამ ზოგიერთ პიესის თვით შინაარსი მოუგებს გულს მაყურებელსა და ასიამოვნებს. ამ პიესის შინაარსი-კი მაგდენად არაფერია.

პიესაში ორი როლია უმთავრესი: ვ. აბაშიძე რომ თამაშობდა (ლომიძე) და ქ-ნი კარგარელისა (ლომიძის მეუღლე). ბ-ნმა აბაშიძემ თვისი როლი ამ ჟამად შედარებით უფრო სუსტად ითამაშა, ვიდრე უწინ თამაშობდა, როდესაც ქ-ნის კარგარელის მაგიერად ლომიძეს მეუღლის როლს ასრულებდა ქ-ნი საფაროვისა. მიზეზი, რა თქმა უნდა, ის არის, რომ ბ-ნს აბაშიძეს ხელს უშლიდა ქ-ნი კარგარელისა, რომელიც ამ როლში უფრო სუსტი იყო ქ-ნ საფაროვისაზე. ქ-ნი საფაროვისა ამ როლს მართლა რომ საგანგებოდ თამაშობს და ამავე როლში განთქმულს არტისტ-ქალს ჟიუდიკს არ ჩამოუვარდება.

რაც შეეხება ქ-ნ კარგარელის თამაშობას, უნდა შევნიშნოთ, რომ ქ-ნ კარარელის გარეგნობა, მიხვრა-მოხვრა, სიარული სცენაზე და მიმიკა საკმაოდ კარგი იყო ამ როლში. იმდენად კარგი, რომ ახალგაზდა არტისტ ქალს მეტსაც ვერ მოვთხოვთ ჯერ-ჯერობით. როლიც კარგად იცოდა.სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ქ-ნ კ რგარელის თამაშობა საზოგადოებას მოეწონა, მოეწონათ იმათაც-კი, ვისაც ამ როლში ქ ნი საფაროვისა უნახავთ. მაშასადამე, ქ-ნს კარგარელისას ამ მხრივ ვერაფერს ვუსაყვედურებთ. საყვედური იქით იყოს და ერთ რჩევას-კი მივცემთ ახალგაზდა არტისტ-ქალს. ჯერ ერთი, მეტად ჩქარობს. ეს აჩქარება ხელს უშლის თვით თამაშობასაც და აგრეთვე ამავე სიჩქარისა გამო საზოგადოებას მისი ნათქვამი სიტყვები არც-კი ესმის. მეორე: ქ-ნი კარგარელისა ნაკლებად აქცევს ყურადღებას თავისის როლის ძლიერ ადგილებს, იმ სიტყვებსა და ფრაზებს, რომელსაც უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. მოსაწყენია, თორემ მრავალის მაგალითით დავამტკიცებდით ჩვენს ნათქვამს. „სასტუმროში ქალი გეყოლება განა“? ეკითხება კარგარელისა აბაშიძეს. სიტყვა ქალი მეტის ძლიერებით უნდა ითქვას, მეტის გრძნობით, რადგანაც ამ ფრაზაში მხოლოდ ამ სიტყვასა აქვს მნიშვნელობა. „ამ ნატეხს, გაშმაგებული მდგომარეობა დავარქვითო“, ეუბნება კარგარელისა აბაშიძეს და რაღაც ჭურჭლის ნატეხს უჩვენებს. აქაც სიტყვები გაშმაგებული მდგომარეობა მეტის გრძნობითა და ძლიერებით,სხვა კილოთი უნდა ეთქვა. კიდევ. ერთის სცენის შემდეგ, როდესაც ცოლ ქმარნი მოილაპარაკებენ ცხარედ, ლომიძე ეუბნება მეგობარს: „უნდა გენახა, თვალებიდგან სულ ცეცხლებსა ჰყრიდა“...

ქ ნმა კარგარელისამ-კი ეს სცენა ისე ჩაატარა, რომ ცეცხლი-კი არა, ერთად-ერთის ნაპერწკლის გადმოგდებასაც ვერავინ შესწამებდა. მოგახსენეთ, მოსაწყენია, თორემ ბევრს მაგალითს ჩამოვთვლიდით.

საზოგადოდ, ვურჩევთ ქ-ს კარგარელისას,მეტი ყურადღება მიაქციოს ხოლმე თავისს როლის იმ ადგილს და სიტყვებს, რომელიც მეტს სიძლიერეს მოითხოვს და მომეტებულის გრძნობის გამოხატვას.

ბ-ნს სვიმონიძეს ამ როლში ძლიერ კარგად ეჭირა თავი. იშვიათად გვინახავს, რომ ამ არტისტს ასე მშვიდადა და ზომიერად შეესრულებინოს თავისი როლი.

ძლიერ კარგად შეასრულეს თავიანთი როლები ქ-ნმა ჩერქეზიშვილისამ და ბ-ნმა კანდელაკმა. განსაკუთრებით საუცხოვო იყო ქ-ნი ჩერქეზიშვილისა. ასეთს რეალურსა, მოფიქრებულს თამაშობას იშვიათად შეხვდება კაცი იმ არტისტ-ქალთა შორისაც-კი, რომელთაც მთელს რუსეთში დიდი სახელი მოუხვეჭიათ.

ქ-ნს გამყრელიძისას არა უჭირდა რა ბულბულაძის როლში.

ქ მა რიონელისამ ქართული ლაპარაკიც-კი არ იცის კარგად...

ბ ნმა გედევანოვმა ჩვეულებრივ კარგად ითამაშა. სწორედ რომ მეტად სასარგებლოა ეს არტისტი ქართულის სცენისათვის, ჯერ ვითარცა არტისტი და მერე ვითარცა მაგალითი შრომის მოყვარეობისა, როლის შეგნებისა და ჩაკვირვებისა,

რაც შეეხება „ხანუმა“-ს მეორე მოქმედებას, სწორედ რომ საუცხოვო სანახავი იყო. ძნელია სთქვას კაცმა, რა უფრო ჰხიბლავდა მაყურებელს საზოგადოებას, პიესის ავტორის ნიჭი, თუ თვით არტისტები: აბაშიძე, გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა თუ გამყრელიძე, რომელთაც ისე ჩინებულად, ისე უნაკლოდ ჩაატარეს ამ პიესის ერთი მოქმედება.

მობენეფისეს ბ-ნს აბაშიძეს მიართვეს ორი დაფნის გვირგვინი და მრავალი საჩუქარი.

Senex

### წერილი ქსნის ხეობიდგან.

უმთავრესი მიზეზი ჩვენის გალატაკებისა უგზო-უკვლობაა, რომელსაც სოფლების მმართველნი ისე არ აქცევენ ყურადღებას და მნიშვნელობას, როგორც ურმის ტაბიკს, ურომლისოდაც, დაჯერებულნი არიან, ვერა ხარ-კამეჩით ურემს ადგილიდგან ვერ დასძრავენ. ჩვენი უმთავრესი გზა ქსნის სადგურიდგან იწყება და სოფელ ახალგორს ზევით სწყდება. ამ მანძილზედ ორივე ქსნის ნაპირას გაშენებული სოფლები უზრუნველ-ყოფილნი არიან. ხოლო სამი წილი ხეობისა—მთიელნი—სრულიად უგზონი არიან. აქვთ პატარა სავაჭრო სოფელი მონასტერი, მაგრამ მიუვალი: იქით მიმავალი ურემი ურემს ვერ აუქცევს, ცხენიანი—ცხენიანს. იქაურ მგზავრს ერთი ფეხი რომ გადაუბრუნდეს ვიწრო გზაში, უფსკრულისაკენ დაეშვება და სულიან-ხორციანად მიიკარგება.

დიდი ხანია, მკვირდნი ჰგრძნ
გზების უსაჭიროებას, მაგრამ..
გარი რაღაა?..
1892 წელს „ივერიაში“ ვწ
რომ სოფლის საზოგადოებათა
თიანებაზედ პროექტი წარსდგ
შეთის მაზრის უფროსთან წარს
ნად და დასამტკიცებლად ვის
ჯერ არს-მეთქი, პროექტით ხ
150 სოფ. უნდა გაერთიანებუ
სამ საზოგადოებად: ზახორისა, ა
გორისა და მონასტრისად. სისრ
ში მოყვანა პროექტისა დიდ ს
თეს გვიზამდა და ასე თუ ის
სუბუქებდა ჩვენს საჭირ-ბოროტ
რამს, დღეს ბალღამივით გულ
მდგარს. თითოეულს საზოგად
ეყოლებოდა თითქმის 900 კ
ცხრაას კომლში, ყოველ საზოგ
ებისაში, მოიპოვებოდნენ საკ
გამოცდილნი, მცოდნენი, რომლ
საზოგადოებას სათავეში ჩაუდგ
დნენ, შესაფერ ჯამაგირების მ
ბით შრომასაც არ დაზოგავდნენ
ფლის საკეთილდღეოდ. მაგრამ
პროექტის ბედ იღბლის ამბავი
მდე აღარა ვიცით-რა. საზოგა
ბათა გაერთიანება, მცოდნე-გამ
დილ მოხელეთა სათავეში ჩაყ
ჩვენის სოფლებისთვის აუცილებ
საჭიროება იყო და არის კ
რადგანაც უვიც მმართველთა
ლაც მეორე უმთავრესი მიზეზია
ნის შინაურობის აწეწვისა და ზ
ბა-ეკონომიურად დაუძლურებისა
ზახორის საზოგადოება, რომე
უნდა შემდგარიყო 900 კომლ
გან, დღეს ცხრა, თუ ათის საზ
დოებისაგან შესდგება. თვითოეუ
მათგანი სოფლის წარმომადგენ
ბით ჩვენის ხეობის შხამია. მათგ
მოწამლული მთელი ხეობის და
რის ატმოსფერა...
აგრეთვეა განაწილებული ახ
გორის და მონასტრის საზოგად
ბანიც. განცალკევებით ყველა
თავისებური ტკივილი აქვთ. გავ
ნოთ აქ მომხდარი ამბები. გამოჩენ
ავაზაკი არსენა ხუბაშვილი და მ
ამხანაგი ილო ვალიშვილი ზახო

---

იყო. დიაღ, დატყვევებული იყო და ისეთ ადგილას, რომ მისი გამოხსნა შეუძლებლად მიაჩნდათ. ის დაეტყვევებინათ ღმერთებს. საჭირო იყო მისის განსათავისუფლებლად თვით ღმერთებისათვის ომი გამოეცხადებინათ და ეს ხომ საშინელი საქმეა, ძლიერ ღმერთებთან ომი ვის შეუძლია.

„ქვეყანა აივსო: ლეგენდებით, ზღაპარებით, გადმოცემებით, სიზმრებით, აჩრდილებით ყველამ იცოდა, რომ საქმე იმ კაცისაგან იყო დამოკიდებული. საჭირო იყო მისი პოვნა, გამოხსნა, განთავისუფლება. საჭირო იყო, რომ ან სულ გამწყდარიყვნენ და ან ეპოვნათ იგი.

„შეუდგნენ საშუალების ძებნას. ზოგი ამბობდა: ესა და ეს საშუალებაა საჭირო, ზოგი-ისა და ისა, საფუძვლიანი-კი მაინც ვერა იპოვნეს რა. შეიქნა ისევ ბრძოლა. გადასწყვიტეს,—გაენადგურებინათ ყოველივე არე მარე, გაეოხრებინათ ყველაფერი, რომ ეგებ მიეკვლიათ სახსრისთვის, დაიწყეს მოქმედება.ასე შემოიარეს იმ ქვეყნის სიგრძე-სიგანე. აღმოჩნდა ნიშნები, და შესაძლებელი გახდა მოქმედება, მხოლოდ ისევ შესცურეს უმეცრება-უგუნურების მორევში, ისევ გამეფდა მათშორის „შენ ჩემობის“ ბრძოლა და თავის მოყვარულობა.

### V

„იმ საუცხოვო და სამოთხის მგზავსის ქვეყნის შუაგულში აღმოჩნდა ერთი მშვენიერი კოშკი, მარმარილოს ქვით ნაგები. ამ კოშკს გარშემო ერტყა ბაღი, ისეთი მშვენიერი, რომ ენით არ ითქმება, კალმით არ აიწერება. ამ ბაღში დღე და ღამ სირინოზის ხმის სიმღერა გაისმოდა. თურმე ეს კოშკი იყო სამყოფელო იმ ქაჯისა. იმ კოშკისა და ბაღის აღმოსავლეთის მხრივ ერთ შეუალ კლდეში მოსჩანდა ერთი საშინელი მღარო, საიდგანაც გამოჩუხჩუხებდა ცხელი ანკარა წყალი. ამ ადგილას, ამ მღაროში იყო დამწყვდეული „ის“, ვინც იცოდა ქაჯის საიდუმლო.

„წელიწადში ერთხელ მზის ამოსვლის დროს, სულ რამდენისამე წამით შესწყდებოდა იმ ცხელის ცრემლის ნაკადულის დენა და მარტო იმ დროს შესაძლებელი იყო „მისი“ ხილვა.

„ერთხელ თურმე იმ ქვეყნის ერთმა მონადირეთაგანმა ნადირობის დროს მოჰკრა თვალი, რომ იმ მღაროში რაღაც სინათლე სჩანდა. გასწია მღაროსკენ, მივიდა კარებთან და დაინახა, რომ ერთს ვებერთელა თმა აწეწილსა და წვერ-ულვაშ გაბურძგნულს დევ-გმირს კაცს დაუჭერია ხელში რაღაც უხილავი რამ, რომელიც მთელს მღაროს ანათებს. ხედავს, მხოლოდ ვერ გაურკვევია, რა-არის. უნდა შევიდეს მღაროში, მაგრამ უცებ მიეფარება სინათლე თვალებიდგან, მღარო ისევ დაბნელდება. იღრიალებს ადუღებული წყალი და შურდულივით გასტყორცნის მონადირეს. ამ დროს საიდგანღაც მოესმება მას ნელი ხმა „ერთად.. ერთად... ერთად“!...

— ერთად?... გაიმეორებს მონადირე: ერთად... ერთად?!...

„ჰო!... ჰო!... ჰო!... ერთად.., ერთად... ერთად!... მოესმის კიდევ.

### VI

„დაღალულ-დაქანცული, შიშისაგან აკანკალებული ბრუნდება მონადირე სახლში და მაშინვე მიაშურებს ქვეშაგებს. გაირთხება საწოლზედ პირ-ჩაღმა, დაჰხუჭავს თვალებს, მაგრამ დიდ ხანს, დიდ ხანს, ვერ დაიძინებს. სწვალობს იგი, ჰფიქრობს ჰშფოთავს, ანგარიშობს, იკვლევს და იმეორებს გაგონილს სიტყვას“ ერთად... ერთად;... რა. ერთად... როგორ ერთად!... ოხ... ღმერთო!... ღმერთო!... მიმახვედრე, გამაგებინე... გამაგებინე...

„დიდის ხნის წვალების შემდეგ დაეძინება. ჰხედავს, რომ ისევ იმ მღაროსთან არის, ჰხედავს ისევ იმ საუცხოვო სინათლეს იმ საკვირველის კაცისავე ხელში, მხოლოდ ეხლა კი არჩევს რაც არის, ვინც არის, კვლავ სცდილობს შესვლას მღაროში, მაგრამ კიდევ იგივე ემართება. ჰხედავს იმას, რომელსაც უჭირავს ხელში ცეცხლი, ის ცეცხლი, რომელიც ზევსისაგან მოუპარავს ქვეყნის გასათბობად. ჰხედავს იგი თვით ზევსსაც, ზევიდგან მრისხანედ გადმომცქერალს, რომელსაც სასტიკად აქვს შეკრული იქაურობა, ის არე-მარე. სწვალობს გმირი „პრომეთეო“ და ნაღვლიანის თვალებით უცქერის, ჰგრძნობს მონადირე, რომ „ის“ ევედრება შველას, მხოლოდ ერთსა და იმავე დროს კითხულობს იგი „იმისს“ სახეზედ საყვედურს, რომ იგი კიდევ მარტო მისულა და გულ-მოკლული არიდებს პირს.

„მონადირე მიდის კოშკისკენ, შედის ბაღში და ჰხედავს უცხო სურათს: მოუყრიათ თავი ყველა ამ ქვეყნის არსთ და ვაზირობენ: „როგორ უნდა აიღონ ეს კოშკი, როგორ უნდა განათავისუფლონ გმირი პრომეთეო, როგორ გათბნენ იმ ცეცხლით, რომელიც მასთან ერთად

არის დამწყვდეული.
„ბევრნაირი საშუალება აქვთ
მუშავებული, ბევრნაირად უნ
იმოქმედონ, მხოლოდ მაგალითი
სად არის, ნამდვილი არვინ იცის
„შეჩერდება, ყურს უგდებს, უ
გაიგოს, რას იტყვიან, რა საშუა
ბას დაადგებიან, ამ დროს უცებ
ღება კოშკის კარები და ელვასავ
გაანათებს მიდამოს „ერთად...
თად...“ მოისმის სადღაც შორიდგ
ყველანი ფეხზედ წამოცვივდებიან
დაიწყებენ რაღაც ჩურჩულს, მონ
დირე ვერას გაიგონებს, გარდა
ზარ-დამცემის ხმისა,—ერთად...
თად... ერთად...

### VII

„წყნარდება არე-მარე. ჩვენი მ
ნადირე კიდევ ჰხედავს მღაროს,
გრამ ამაოა ყოველივე მისი ც
ვერ შედის მღაროში, ვერა თბ
ცხოველ ის ცეცხლით. ისევ ბრუნ
ბა უკან, ისევ აწუხება იმავ ბა
მხოლოდ ეხლა-კი ცდილობს.
„უკვირს, გაშტერებულია, სიზმ
რი ჰგონია, თვალებს იფშვნეტ
ცდილობს გამოერკვას, მაგრამ უ
რუვდება იმედი. რწმუნდება, რო
ეს ცხადიაო.
„ამ ფიქრშია, ამ წვალებაშ
ჰგრძნობს, რომ სუსტდება, ძალ

საზოგადოებაში სრული სამი წელიწადი დათარეშობდნენ. იმაზედ გამოძიება სწარმოებდა. დუშეთის გამომძიებელის სასტიკის განკარგულებით პოლიციის მმართველობა კვალ და კვალ სდევნიდა, რომ ხელში ჩაეგდო. ყველამ იცოდა, რომ ისინი ზახორს გარედ არსად იფარებოდნენ. ქსნის ბოქაულმა მოღალა მამასახლისები, ჩაფრები, მოიღალა თითონაც, მაგრამ მაინც ვერ შეიპყრეს. ზაფხულის დამდეგს დუშეთის მაზრის უფროსისაგან თარჯიმანი კობიაშვილი იქმნა გამოგზავნილი ქსნის ბოქაულთან მისაშველებლად სხვა და სხვა ხარჯის აკრეფისათვის. ბოქაულმა კობიაშვილი ს. ზახორში გაგზავნა ხარჯების ასაკრეფად და სხვათა შორის დაავალა თვალ-ყური ედევნებინა, იქნება როგორმე შეიპყრო ავაზაკი ხუბაშვილი თავის ამხანაგითაო.

კობიაშვილმა, ზახორში გზათ მიმავალმა, შეიპყრო ილო ვალიშვილი, რომელიც მეორე დღეს ქსნის ბოქაულს გამოუგზავნა ჩაფრებით და მოსწერა, —ავაზაკს გაუფრთხილდით, წუხელ გაქცევა დააპირაო. სხვათა შორის კობიაშვილი აი, რას სწერდა ბოქაულს:

„გაახლებთ რა შეპყრობილ ავაზაკ ვალიშვილს, გთხოვთ დროით მობრძანდეთ და შეუდგეთ მაგის მოქმედებათა გამოძიებას. ვალიშვილი შევიპყარ გზად ს. ნადაბურს რომ მივახლოვდი, იქიდგან გავგზავნე ჩაფარი, რომელსაც ვუბრძანე ს. ნადაბურში ეთვალყურებინა არსენა ხუბაშვილისათვის. ჩაფარი მაკიშვილი შევიდა ნადაბურში და გამომკივლა, რომ ავაზაკი ხუბაშვილი ამ სოფელში იმყოფებაო, მეც გავეშურე იქით. გამოქცეული სოფლიდგან ხუბაშვილი და მე აქედგან გაქანებული მისკენ სოფლის ბოლოზედ ერთმანერთს შევხვდით. ხუბაშვილი არ დადგა, გაიქცა. გამოვუდექ მეც. მივუახლოვდა ხევს, რომელსაც, აშკარაა, არ დაერიდებოდა—ჩახტებოდა და იქიდგან ტყეში შემივარდებოდა; მანამ მე ხევს ავუქცევდი გზას, მანამ ხუბაშვილი თავს უშველიდა.—ვესროლე თოფი, ხუბაშვილმა მაინც ჩამისწრო ხევში და იქიდგან ტყეში მიიმალა... ჩვენ ამოდენა ტანჯვას მაინც ბოლო არ მოელო—ავაზაკი გამექცა სამუდამოდ“!..

რა წამს მობრძანდებით, გამოძიებით შეიტყობთ, სხვათა შორის, იმასაც, რომ ვალიშვილს ამხანაგობა ჰქონია აქაურ სოფლის მოხელეებთან, მამასახლისის მოადგილესთან, რომლებიც თურმე კაი ხანია ერთად ქეიფობენ, ხუბაშვილს კი ამხანაგობა ჰქონია გორის მაზრის გამოჩენილ ავაზაკ ფუხაშვილთან, რომელიც თურმე ხშირი სტუმარი ყოფილა ამ ხეობისაც. ჩემგან შეკრებილ ცნობიდგან აღმოჩნდა კიდევ, რომ ნიკო მარლიშვილი თურმე ავაზაკებს ჰფარავს და ინახავს. დიდად მიღალატეს აქაურმა მოხელეებმა და ნადაბურელებმაც. მე მაინც ყურადღება მექნება ხუბაშვილზედ და თუ თვალი მოვკარი, აღარ ამცდება. რაკი ხუბაშვილს ხელთ ვიგდებთ, იმედი მაქვს, შაიშმელოვის მოკვლის საქმეც აღმოჩნდება...

წერილის ბოლოში დამატებულია: „ეგ არის ვგზავნიდი ამ წერილს, რომ ჩემგან გაგზავნილმა ჩაფარმა მითხრა: ხუბაშვილი ს. ბალის ხიდის ტყეში გდია მძიმედ დაჭრილიო.. დაჭრილი თხოულობს მკურნალის შველასაო.“

კობიაშვილის წერილი გვიმტკიცებს, რომ ს. ზახორი ავაზაკთა ბუდე ყოფილა: თვით მოხელეებს უფარავთ ავაზაკნი, უქეიფნიათ ერთად, და იქნება ერთადაც უავაზაკნიათ; ამისათვის ჩვენში ავაზაკების დაჭერა-განდევნა მხოლოდ უცაბედობით, ზედ წაწყდომით—შემთხვევით ყოფილა შესაძლო!.. ესეც მაგალითია ჩვენი ხეობის სოფლების მმართველთა კაი-კაცობისა.

ჩვენის მოხელეების საქციელის აღწერას ამით დავამთავრებ, რომ გაზვიადებულად არავინ მიიღოს, ამბის დასასკვნელად ავღნიშნამ მხოლოდ, რომ კეთილ ფიქრს შეჩვეული კაცი ლოთობით არ დაიხშობს გონებას, ასეთის ქცევით სოფელს არ დაჰლუპავს, სოფლის გასაჭირდლისათვის ფულის სკაც ექმნება დაარსებული, მაგრამ... მაგარი ბორძიკი ყველა ჩვენის უბედურებისა „გაიძვერების“ საქციელია, რომლებიც გზებისათვის არამც თუ არა ჰფიქრობენ, გზასაც გვისპობენ და სიცოცხლესაც. ასე რომ არ იყოს, სოფელს ერთის შეტევის მეტი არა უნდა რა, რომ კლდე გაარღვიოს და ვაკეზედ გაიარ-გამოიაროს, სინათლე დაინახოს!..

დიდი სიკეთე მოგვივა ხსენებულის პროექტის დამტკიცებით: ჯამაგირით ბევრი კაი მამასახლისი გვეყოლება, ამათის წყალობით სოფელი სოფელს დაემსგავსება; ხოლო დღევანდელ სოფლების მმართვა წყობილობით ძნელად ველირსებით, რომ სადმე ვიპოვოთ პატიოსანი მოღვაწე—მამასახლისი, რომ ნამდვილი მამობა გაგვიწიოს და ჩვენის ხეობის ევოდენ წაწამლული მდგომარეობა გასწმინდოს—განასპეტაკოს..

მოხევე

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. საგარეჯო**, 21 ნოემბერი. 18 ნოემბერს გლეხის დათიკო მაკანტალაშვილის სახლს ცეცხლი გაუჩნდა და სულ მთლად გადაბუგა. სახლი ძალიან პატარა იყო, ეზირა სულ ოთხიოთხ კუთხი არშინი ადგილი. სამი კიდელი ჰქონდა ტალახისა და ერთი ფიცრისა, ზედ ჩალა ეხურა. ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი ამ ადგილას, მაგრამ ცეცხლის გაქრობა და სახლის გადარჩენა შეუძლებელი შეიქნა, რადგანაც 20 წამში ეს ერთი ბეწვა სახლი მთლად ამოიბუგა პატრონისავე სარჩო-საბადებლით. ხალხი იდგა და ხელ-გაუნძრევლად შესცქეროდა; თითო-ოროლა კიდევ იწევდა, იქნება რამე გადავარჩინოთო, მაგრამ ამაოდ, ყველაფერი ცეცხლად იყო ნაქცევი. მაშინ ერთმა მათგანმა, სახელდობრ შ. მწითლავიშვილმა, სთქვა, რომ ყველაფერი ტყუილია, აღარა ეშველება-რა, ისევ სჯობს შევეწიოთ რითიმეო. ესა სთქვა და ჯიბიდგან ფული ამოიღო. იმის მაგალითს სხვებმაც წაჰბაძეს და დახმარება აღმოუჩინეს: ზოგმა ფულით და ზოგმაც მასალით: ფიცრით, კავით, კოჭით და სხვა. სოფლად სამი კაცი წავიდა ფულის მოსაგროვებლად. ოთხ თუმნამდის ფული შეგროვდა, მასალის გარდა. ეს ფული ჩაჰბარდა ერთს სანდო კაცს, რომელმაც უნდა აუშენოს სახლი და ჩააბაროს დაზარალებულს გლეხს. სახლი ორ კვირაზედ მზად იქმნება, იმაზედ უკეთესი და არა ნაკლები. გლეხს დაღვრემილი სახე გაუბრწყინდა, რადგანაც შემთხვევით მოტანილი ზარალი კისერზედ არ დააწვა და ცოლშვილი არ დაუწიოკდა. ეს ზარალი ერთს კაცს დაღუპვის გზაზე აყენებდა, აღდგენა-კი მისი მრავალთათვის საგრძნობელიც არ გამოდგა. დიდად სასიამოვნოა, რომ ამ გვარი შეწევნა და დახმარება მოძმისა გაჭირვებაში ჩვენ ხალხს ჩვეულებად გადაჰქცეოდეს.

მასწ. ალექსანდრე ბენაშვილი

## რუსეთი

დედათა უმაღლესს კურსებთან ამ დღეებში საკუთარი ვარსკვლავთ-მრიცხველობის ობსერვატორია იქმნა დაარსებული. ამ ჟამად მთელს დედამიწის ზურგზედ დედათა უმაღლესს სასწავლებელთან ამ ნაირ დაწესებულების დაარსება პირველი ამბავია.

— სამკურნალო უწყებაში ამ ჟამად ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ საჭიროა დაარსდეს ყველგან განსაკუთრებული საავადმყოფოები სულით ავადმყოფთა დამნაშავეთათვისაო.

— საერო განათლების სამინისტრომ საჭიროდ იცნო და დაადგინა, რომ უფასო სახალხო სამკითხველოებში სახმარებლად განზრახულ წიგნების სია სამოსწავლო კომიტეტში უნდა წარმოადგინონ ხოლმე სამკითხველოს გამგისა და მეთვალყურის აზრითურთ სიაში აღნიშნულ ყოველ წიგნის შესახებაო.

— პირველ დაწყებით სახალხო სასწავლებელში ხელოსნობის სწავლების ხელის შესაწყობად და გასაუმჯობესებლად განზრახვა აქვთ ამ სასწავლებლების ხელოსნობის მასწავლებლების კრება გაჰმართონ ამ საქმის შესახებ მოსალაპარაკებლად.

## უცხოეთი

**საფრანგეთი**. დრეიფუსის საქმეს არ იქმნა, არაფერი ეშველა და დასასრული არ ეღირსა. გამოძიებამ ჯერ-ჯერობით ისეთი ვერაფერი გამოიკვლია, რომ დაჰეშმარიტებით სთქვას კაცმა, ეს არის დამნაშავეო და არა ესაო. ყველაზედ საკვირველი ამ საქმეში სენატის ვიცე-პრეზიდენტის შერერ-კესტნერის და გამოჩენილის და ყველასათვის ცნობილის რომანისტის ემილ ზოლას თავ-გამოდებაა. ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან შერერ-კესტნერი როგორ სცდილობდა და სცდილობს კაპიტნად ნამყოფის დრეიფუსის გამართლებას. შერერ-კესტნერზედ არა ნაკლებ დრეიფუსის გამართლებას ემილ ზოლაა მოწადინებული. მოწინააღმდეგენი ამბობენ, რომ დრეიფუსის მომხრეები მდიდარის ურიებისაგან დაქრთამული არიანო. შეიძლება ეს მართალი იყოს, მაგრამ ძალიან ძნელად წარმოსადგენია, რომ სხვასთან ერთად, ემილ ზოლასაც მარტო ფული ალაპარაკებდეს. სხვა რომ არა იყოს-რა, ზოლა თვით მილიონების პატრონია და ვილაც დრეიფუსის გულისათვის ფულისათვის პატიოსნებას არ გაჰყიდდა. ზოლამ მეტად თავგამოდებით მოჰკიდა ხელი ამ საქმეს. აი რა უთქვამს იმას გაზ. „Evènement“-ის თანამშრომელისათვის: „თუ გამოძიებამ ის ნაყოფი არ მოიტანა, რომ საქმე ხელ-ახლად იქმნას გან-

---

ეკარგება, თვალები უბნელდება, ლამის წაიქცეს და უცებ მოესმის კიდევ იგივე ხმა „ერ ად... ერთად“... და სიბნელით მოცულს არე მარეში ვითომ თენდება ნათლდება მიდამო და ჰხედავს, რომ ყველა ისინი, რომელნიც აგერ ახლა აქ ერთად ვაზირობდნენ, დაფანტულან სხვა-და-სხვა კუთხეში და ხანჯლებით ხელში ერთმანეთს ემუქრებიან. ხანჯლები სისხლით არის გასვრილი, ჰხედავს კოშკს სისხლშივე მოთხუპნულს, და ქაჯს მტირალს.

„თავს ზარი ეცემა, სცდილობს მივიდეს ყველასთან სათითაოდ და უთხრას, ახაროს, რომ მან იპოვნა საიდუმლო, იპოვნა ხსნა, იპოვნა დაკარგული სინათლე, გამქრალი ცეცხლი. უნდა მოურბინოს ყველას და შესძახოს „ერთად... ერთად... ერთად...“-ო მაგრამ ყველა ერიდება, მოკვლას უპირობენ, არ იკარებენ, რადგან ჰხედავენ, რომ იმას უპოვნია საიდუმლო, იმისი იქნება ქაჯი, ეს დაეპატრონება საუცხოო კოშკს და შურით შეჰყურებენ, ვერ ითვისებენ.

„სასოწარკვეთილი, უიმედო, გულ გატეხილი იბრუნებს იმათგან პირს, სწყევლის ბედს, ბუნებას, ჰგმობს ქვეყანას და ატირებული მიჯდება კოშკის კარებთან. ამ დროს იგრგვინებს საშინელი მეხი, დაეცემა შუაგულს ბაღში და სრულიად მტვრად აქცევს ამ არე-მარეს. ის კიდევ ჰგრძნობს სიცოცხლეს, კიდევ უნდა აღდგეს, კიდევ სწამს მერმისი, მაგრამ ღონე აღარ შესწევს.

„ძლივს ძლივობით წამოიწევს თავს, გადაავლებს თვალს იქაურობას და რას ჰხედავს: კიდევ ცოცხლები არიან ზოგნი, მხოლოდ დაუყრიათ ხანჯლები და ცახცახით შეჰყურებენ ზეცას. ჰხედავს ქაჯს ისევ ისე საუცხოვოს, მშვენიერებას. ისიც ზეცას შეჰყურებს, იმ ზეცას, სადაც ღრუბლები არეულან ერთმანერთში და საზარლად სუსტდებიან. აღაპყრობს მონადირეც თავის უღონო ხელებს და შესძახებს ღრუბლებს „ერთად... ერთად“... და გამოელვიძება.

### VIII

„ამ სიზმრის შემდეგ მონადირე ლოგინიდგან აღარ ამდგარა, დაჰკარგა ძალა და ღონე, სამარისკენ იყურებოდა, მაგრამ სწამდა-კი, რომ ამ ერთს სიტყვაში იყო ხსნა. მხოლოდ ძნელი ყოფილა გულის გატეხა, ძნელი ყოფილა სასოწარკვეთილება. იგი დარწმუნებული იყო, რომ „ერთად“... მოქმედება აღარ შეიძლებოდა. ცხადივით სწამდა ის სურათი, რომელიც სიზმარში ჰნახა. ელოდა იმ ღრუბლებს, რომელსაც შესძახა თავისი საიდუმლო ცხოველი სიტყვა „ერთად“...

„სხვა ვერვინ იპოვნა მან მის გარშემო ღირსად, მას მარტო იმ ღრუბლებში სწამდა ხსნა და იმ ცივს, მაგრამ ერთად შეკავშირებულს შეთანხმებულს ღრუბლებს შეავედრა თავისი იმედი, იმ ღრუბლებს დაუთმო მან ყველა: კოშკიცა, ქაჯიცა და საუცხოო მაღაროც. იქ ეგულებოდა ღვთიური ძალა „ძმობა, ერთობა“.

„აჰა!.. აჰა!.. წარმოუდგება მამაკვდავს რულში მისი ოცნების სურათი: ჯერ ჰხედავს ის ნელს სინათლეს მის ნაცნობ ბაღსა და კოშკზედ, შემდეგ დაინახავს გაბრწყინვალებულს სახეს ქაჯისას, რომელსაც გაუღია კოშკის კარები და ნადიმი გაუმართავს. აქვე ჰხედავს იგი ყველას „ერთად“—წყნარად, სიამოვნებით და ძმურად შეექცევიან; ჰხედავს ქაჯს ამეტყველებულს, ჰხედავს ყველას, მხოლოდ ვერ ჰხედავს მარტო „იმას“, ვისგანაც მოესმა სიტყვა „ერთად“... გული უნაღვლდება და მისს აღფთოვანებულს იმედს ისევ მწუხარება ეფინება.

### IX

„მაგრამ სხვა არის იმედი, სხვა არის ჭეშმარიტი სარწმუნოება. იგი სდგას, ელის, რომ ყოველივე შესრულდება ისე, როგორც იმასა სწამს. „ნამდვილად ყველა ჩემი მოლოდინი უნდა ახდესო, ამბობს იგი: ნამდვილად... ნამდვილად“...

„ამ წარმოდგენაში ცხოველდება სურათი: ცოცხლდება ქვეყანა,— ქეიფი გახურდა, ყანწები ტრიალებს, ჰხედავს, ყველანი აღჭურვილები არიან რაღაც საუცხოვო იარაღით, რომელიც იმ ცეცხლივით ანათებს, სიზმარში რომ ჰნახა და სტკბება!..

„აჰ!... აჰ!... ეს რაღა არის?.. ყველანი სუფრიდგან დგებიან, ქეიფს თავს ანებებენ და ნელ-ნელა მწყობრად გაემართნენ აღმართისკენ.

„ჰა!... დასძახებს მომაკვდავი და უთითებს მაღაროსკენ... და ყველა ერთის იერიშით მისცვივდებიან მაღაროს კარს.

„შეიქნება საშინელი ბრძოლა, ზევსის დარაჯთა და ამათ შორის. ზევსი დასჭექს ზემოდგან და ეს მდუღარე ანკარა გადიქცევა სისხლის მორევად. აღდგება კორიანტელი, ორთქლი მოიცავს არე მარეს და სისხლის მორევში გამოჩნდებიან დახოცილნი ზევსის მცველები.

„გახშირდება ჭექა ქუხილი, შეინძრევა ქვეყანა, მორწყავს სისხლი მიდამოს, მაგრამ იმედი კიდევ ცხოველია, რწმენა არ შერყეულა. მონადირის განაახლებულს გულს ვერა სძლევს, ვერა, თან უღელავს გული მოლოდინით, თან უწყნარდება მომავალის იმედით...

„გამოურკვეველია მისი მდგომარეობა, მაგრამ ის მაინც ელის!.. ამ დროს შესწყდება სისხლის მორევი და ცეცხლით ხელში გამობრწყინდება მისი სატრფო „ქაჯი“, ინგრევა მაღარო და თავისუფლდება დევგმირიც.

„ოხ!..“ წამოიძახებს მომაკვდავი და გამოერკვევა ოცნებიდგან, მაგრამ უცებ შეძრწუნდება, რა დაინახავს, რომ იმის გარშემო მოგროვილია აუარებელი ხალხი და თავს დასტირიან. გაახელს თვალებს, დაამშვიდებს ყველას და ძლივს გასაგონის ხმით ეტყვის: „ერთად... ერთად... ერთად“-ო!.. და ისევ მიეძინება.

იასე რაჭველი

ხილული, მაშინ მე კალამს ავიღებ და იქამდის ბრძოლას არ დავანებებ თავს, ვიდრე ჭეშმარიტება არ გაიმარჯვებს. ასე მოვიქცევი თუნდა ბრძოლა მთელს საფრანგეთთან, მთავრობასთან და საზოგადო აზრთან მომიხდეს. მე დარწმუნებული ვარ, რომ დრეიფუსი უდანაშაულოა და ჟურნალ-გაზეთების საზიზღარი ლანძღვა-გინება ვერ ჩამაჩუმებს. აწინდელი გამოძიება მხოლოდ კომედიაა და სხვა არაფერი. ყველამ კარგად იცის, რით დასრულდება იგი. დამიჯერეთ, რომ გენერალი სოსიე დრეიფუსის სიმართლეს ისევეა დარწმუნებული, როგორც მე ვარ დარწმუნებული. მე ისეთი საბუთის ქაღალდები მაქვს, რომელიც დრეიფუსის სიმართლეს აშკარად ჰყოფს. ვფიცავ, რომ დრეიფუსი კატორგაში არ დარჩება და, დღეს თუ არა, ხვალ იმისი სიმართლე გამოაშკარავებული იქმნება“.

**ავსტრია.** იმ გარემობამ, რომ ჩეხთა მომხრე გრაფი ბადენი გადააყენეს და სამინისტრო ნემენცს ჩააბარეს, ჩეხლები მაინც და მაინც ძალიან არ დააფიქრა და არ შეაშინა. ჩეხთა წარმომადგენელნი დარწმუნებულნი არიან, რომ რანაირი მმართველობაც უნდა იყოს ავსტრიაში, რა მიმართულების კაციც უნდა ედგეს სათავეში ავსტრიის მმართვა-გამგეობის საქმეს, მაინც ჩეხთა დამონავება და იმათი დამარცხება აღარავის ძალ-უძს. მართლაც-და პოლიტიკურად, გონებრივად და ეკონომიურად იმდენად წინ წაიწია ამ პატარა ერმა, რომ შეუძლებელია ეხლა იმის განადგურება და გადაგვარება, როგორც ამას ნემენცები იყვნენ და არიან მოწადინებულნი. პირ-იქით, როგორც წინად უნგრები, ისე ეხლა ჩეხები დღით-დღე უფრო ძლიერდებიან და დღით-დღე უფრო იმარჯვებენ ნემენცებთან ბრძოლაში. მართალია, ნემენცები თავ-გამოდებით იბრძვიან და ყოველ ღონესა ჰღონობენ, რომ უწინდელი ბატონობა შეინარჩუნონ, მაგრამ შორს აღარ არის ის დრო, როდესაც ჩეხები სულ ყველაფერში გაუთანასწორდებიან ნემენცებს და ისეთივე უფლებანი ექმნებათ მინიჭებული ავსტრიის სახელმწიფოში, როგორიც ამ ჟამად იმათა აქვთ მინიჭებული. ამიერიდგან ჩეხები უკან აღარ დაიწევენ და აღარაფერში აღარ დაუთმობენ ნემენცებს. აი, რა გვარის მოწოდებით მიჰმართეს ამას წინად ჩეხთა წარმომადგენლებმა ერს: „ხელახლად იჩინა თავი ერთმა იმ საპოლიტიკო მოძრაობათაგანმა, რომელმაც უკვე რამდენჯერმე ძირიანად შეარყია გაბსბურგთა შეერთებული მონარქია. ჩვენის ერის დაუძინებელმა მტერმა ხელ-ახლად აღიმაღლა ხმა და ძალ-მომრეობას მოჰკიდა ხელი მაშინ, როდესაც ჩეხთა ენას თავისის უფლების ერთი ნაწილი დაუბრუნდა. ერთს წუთს ამ ძალ-მომრეობამ გაიმარჯვა კიდეც. მაგრამ მხოლოდ ერთს წუთს, რადგანაც ჩვენი ერი არ უმტყუნებს თავისს საგანს და არ გადაუხვევს ერთხელვე გამოკვლეულს და შემუშავებულს პროგრამას. ჩვენს საპოლიტიკო ისტორიაში კრიტიკული ხანა დადგა. ამ ხანას ჩეხთა ერი მოუმზადებელი, გაუბედავი და სულით დაცემული არ უნდა დახვდეს. მან მთელი თავისი ძალა, ის ძალა, რომლის წყალობით არა ერთხელ და ორჯელ უკუქცეულა მტერი, ეხლა უნდა გამოიჩინოს. დაკავშირებულმა და შეერთებულმა ჩეხის ერმა დაუყოვნებლივ უნდა დაუწყოს ბრძოლა ძალ-მომრეობას და უსამართლობას. ჩვენ არ ვიცით, რა გზას დაადგება ახალი პოლიტიკა, მაგრამ იმას-კი დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს ერს ხელ-ახლად მოუხდება ბრძოლა და ხელ-ახლად გამარჯვებული გამოვა ბრძოლის ველიდგან.“

## ნარევი

— მერე ვინ გითხრა, რომ აგრე სულელი ვიყო...

— დამშვიდდი, არავის უთქვამს, მე თითონ მივხვდი ამას...

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

სახელოვანის ედისონის ახალმა გამოგონებამ, გვგონია, ყველა წინანდელ საოცარ გამოგონებას გადააჭარბოს.

ეს ახალი გამოგონება შემდეგია: დიდი ხანია ყველამ იცის, რომ ნიუჯერსეის შტატში იმდენი რკინა მოიპოვება, რომ მთელს ამერიკას, სულ ცოტა, 50 წლის განმავლობაში ეყოფა. მაგრამ, მაგარი ის არის, რომ ამ რკინის მიწიდგან ამოღება მეტად ძნელია. შესაძლებელია, ამ რკინის ამოღება მიწიდგან უფრო ძვირად დაჯდეს, ვიდრე თვით რკინა ჰღირს. ედისონმა ისეთი საშუალება მოიგონა, რომლის ძალითაც ძლიერ ადვილი იქმნება დედამიწიდგან რკინის ამოღება: მის მიერ გამოგონილი მანქანა მთელს უზარ-მაზარს მთა-კლდეს მტვრად აქცევს და მერე იქიდგან რკინას გამოარჩევს.

ედისონი ამ გამოგონებას ამგვარად წააწყდა. ერთხელ, თექვსმეტის წლის წინად, ედისონი დასეირნობდა ზღვის ნაპირას და დაინახა, რომ ქარისაგან შავი მტვერი დადგა. ედისონმა ამ ამბავს ყურადღება მიაქცია. წაიღო შინ ცოტა მტვერი და გასინჯა თავისს ლაბორატორიაში. აიღო ფოლადი, ჩასდო ამ მტვერში და ნახა, რომ ფოლადს მიეკრო შავი მტვერი. ედისონი დარწმუნდა, რომ ამ მტვერში რკინა ერია. ცოტა ხანს შემდეგ ედისონმა გაჰმართა მანქანა რკინის მტვერის მოსაკრებად; ამ მანქანას ხალხს უჩვენებდნენ პარიჟშიაც 1889 წლის გამოფენაზე. მაგრამ მანქანამ დიდხანს ვერ გასძლო. ერთხელ ზღვის ნაპირას ქარიშხალი ამოვარდა და მანქანაც გააფუჭა და რკინის მტვერიც წაიღო.

ედისონმა თავისს გამოგონებას მაინც თავი არ დაანება. ჯერ გააკეთა ფოლადი, რომელსაც დაარქვა სახელად „ფოლადის“ თვალი და აღმოაჩინა, რომ ნიუ-ჯერსეიში იმდენი რკინაა, რომ მთელს ქვეყნიერებას ჩვიდმეტის წლის განმავლობაში ეყოფა, ხოლო მარტო ამერიკისათვის-კი მთელის სამოცდაათის წლის განმავლობაშია საკმარისი. შემდეგ ედისონი თვით რკინის ამოღებასაც შეუდგა. გამართა უზარ-მაზარი მანქანა, რომლის შემწეობითაც ამტვრევდა მთელს უზარ-მაზარ კლდეებს და დიდრონისავ ფოლადების შემწეობით არჩევდა რკინას. ინჟინერები და მცოდნე კაცები თავს იქნევდნენ და ამბობდნენ, ამ საქმიდგან არაფერი გამოვაო. მაგრამ ყველანი მოსტყუვდნენ და ედისონმა გაიმარჯვა: გამართა ერთი მძლავრი და უზარ-მაზარი მანქანა, რომლის ძალითაც შეიძლება სამის წუთის განმავლობაში 62,000 ფუთი სიმძიმე კლდე დაფქვას და მტვრად აქციოს.

ედისონის მანქანა მეტად მარტივია: წარმოადგენს მხოლოდ უზარ-მაზარს გრდემლსა და ჩაქუჩსა და ასეთსავე ფოლადს. ედისონი ამტვრევს კლდეს და მტვრად აქცევს, რომელსაც უშველებელი ელექტრო-მაგნიტი იზიდავს. ქვიშა ერთს მხარეს იყრება და რკინა მეორე მხარეს.

ასეთი უბრალოა და მარტივი ეს მანქანა, მაგრამ თვით მუშაობა-კი, როგორც ამბობენ, სწორედ რომ საოცარია თურმე. ვიდრე ეს მანქანა მთიდგან მთელს კლდეს გამოიღებს, რომელშიაც რკინა ეგულებათ და იმ დრომდე, ვიდრე რკინის გზის ვაგონებს დატვირთავენ რკინით, ამ საქმეს ადამიანის ხელი არ ეკარება. ყველაფერს ედისონის მანქანა აკეთებს თავის-თავად. ადამიანი მხოლოდ მანქანის მუშაობას ადევნებს თვალყურს. ედისონის მანქანას შეუძლიან ერთს დღეში ათი-ათას ფუთზე მეტი კლდე დაფქვას და მტვერისაგან რკინა გაარჩიოს. თითო ელექტრო-მაგნიტს ისეთი ძალა აქვს, რომ შეუძლიან უდიდესი ზარბაზანი მიიზიდოს და ზღვაში გადააგდოს. კაცი რომ ამ მანქანის მუშაობას უყურებსო, სწერენ გაზეთები, ასე ჰგონია, ეს მანქანა საცაა მთელს დედამიწას გაანადგურებს და მტვრად აქცევსო.

მთელი მუშაობა შემდეგს სურათს წარმოადგენს. დინამიტით არღვევენ კლდეს და იმავე დროს უზარ-მაზარ მანქანას, ვითარცა მდევს მიაქვს კლდე და აწოდებს მეორე მანქანას; მანქანა ფქვავს და მერე არჩევს: ქვიშა ერთ მხარესა სცვივა, რკინა მეორე მხარეს... ელექტრო-მაგნიტი არჩევს რკინის მტვერს და აწყობს მეორე მანქანაში, რომელიც რკინის მტვერს ამაგრებს დიდრონ ნაჭრებად. ამგვარად დედამიწიდგან ამოაქვს ყოველდღე 75 ვაგონი რკინა.

## სასამართლოს მატიანე

თავ. ნიკოლოოზ თაქთაქიშვილის საქმე

ტფილისის ოლქის სასამართლოს გორის სესსიამ 25 ნოემბერს გაარჩია თავ. ნიკოლოოზ თაქთაქიშვილის საქმე, რომელსაც სვიმონ ბათიაშვილის მოკვლის განზრახვა ჰბრალდებოდა.

აი, ამ საქმის გარემოება: 1897 წ. 8 მაისს თავ. ნიკოლოოზ თაქთაქიშვილი სამის მოგზაურით დ. ცხინვალის ერთ ქუჩაზედ ცხენებით გაჩქარებული მიდიოდნენ. ქუჩაში მდგომმა ცხინვალის მცხოვრებელმა სვიმონ ბათიაშვილმა თავ. თაქთაქიშვილის ცხენს ალვირში წაუვლო ხელი, შეაჩერა და უთხრა თაქთაქიშვილს, რომ არ შეიძლება ქუჩაში ასე ჩქარა სიარული, როგორც თქვენ მიაჭენებთ ცხენებსაო. თავ. თაქთაქიშვილმა მაშინვე იძრო თურმე ხანჯალი, ჩამოხტა ცხენიდგან და გამოეკიდა უკვე გაქცეულს ბათიაშვილს, დაეწია და ხანჯლით დასჭრა კისერში. ყოველივე ეს სასამართლოს წინაშე აღიარა თითონ ბათიაშვილმა და მოწმეებმა სამადანოვმა და სხვათა. ბათიაშვილი, ექიმის აზრით მძიმედ იყო თურმე დაჭრილი.

ბრალდებულმა თავ. თაქთაქიშვილმა არ იცნო თვისი თავი დამნაშავედ და სასამართლოს განუცხადა, რომ, როდესაც ბათიაშვილმა ცხენს ალვირში წაავლო ხელი, შემაყენა, გინება დამიწყო და ქვას დაავლო ხელი, მოთმინებიდგან გამოსული მეც ჩამოვხდი ცხენიდგან და დავჭერი ბათიაშვილი, იმის მოკვლა-კი სრულიადაც არა მქონია აზრადაო.

ოლქის სამართლომ თავ. თაქთაქიშვილი დამნაშავედ იცნო და გარდუწყვიტა ყოველის უფლებისა და უპირატესობის ჩამორთმევა და ტობოლსკის გუბერნიაში გადასახლება საცხოვრებლად.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

27 ნოემბერი.

**პარიჟი.** გაზ. „Figaro“-ს რედაქციის წინ რამდენიმე ასმა სტუდენტმა მანიფესტაცია მოახდინა. პოლიციის ერთს აფიცერს სცემეს და ყური გაუგლიჯეს. ხუთის მეამბოხის წინააღმდეგ ოქმი იქმნა შედგენილი.

**ლონდონი.** „St. james Garette“ იუწყება, რომ ნილოსის სათავეში მდებარე მიწის გამო მთავრობა საფრანგეთთან აწინდელ დამოკიდებულების დარღვევას არ მოელოდება. სადაო მიწას ფასი არა აქვს, მაგრამ საქმე ის არის, რომ შეიძლება იმ სახელმწიფოებმა, რომელთაც ეს ადგილი უკავიათ, ნილოსს სხვა მიმართულება მისცენ და ამ რიგად ეგვიპტე უდაბნოდ გადააქციონ.

**რომი.** ამბობენ, რომ ახალ სამინისტროს შედგენას მარკიზ რუდინს მიანდობენო; სჯულის საქმეთა მინისტრის თანამდებობას ცანარდელი იკისრებსო.

**პარიჟი.** „Matin“-ი ჰფიქრობს, რომ ესტერგაზის საქმის შესახებ გამოძიება შაბათს დასრულდებაო.

„Libre Parole“-ში დაბეჭდილია რუანეს აზრი პანამის საქმის შესახებ. რუანეს აზრადა აქვს თავისი მწუხარება გამოსთქვას იმის გამო, რომ პირველი გამოძიება სრული არ იყო და გაჰკიცხოს საპოლიტიკო მოღვაწენი საფინანსო საქმეებში მონაწილეობისათვის, რადგანაც ეს იმათ საზოგადო მდგომარეობას არ შეჰფერის; აგრეთვე გაჰკიცხოს კერძო კაცნი და საზოგადოება მთავრობის ფულით დახმარებისათვის.

**ვენა.** მოლაპარაკება მინისტრ-პრეზიდენტ გაუჩსა და პარლამენტის დასების წინამძღოლებს შორის ვენგრიასთან მორიგების შესახებ უკვე დასრულდა. მთავრობა დროებით ღონეს იღონებს იმისათვის, რომ ვენგრიასთან საფინანსო დამოკიდებულება მოაწყოს. ამასთან საზოგადო ხარჯის იმ ნაწილის რაოდენობას, რომელიც ავსტრიას შეხვდება, იმპერატორი დაადგენს.

28 ნოემბერი

**პეტერბურგი.** საგანგებო ელჩი ბელგიის მეფის სასახლესთან თავადი ურუსოვი დანიშნულ იქმნა რუსეთის მიერ საგანგებო ელჩად საფრანგეთის მთავრობის წინაშე.

**კოვნო.** შაველსკის გიმნაზიის საღმრთო სჯულის მასწავლებელი ქსენძი რომეიკო ექვსის თვით განშორებულ იქმნა თავისს თანამდებობას კენტინგერის ბერნანდის მონასტერში.

**კონსტანტინეპოლი.** ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტი იუწყება, რომ ჩვენ განვაახლებთ ჩვენს მოქმედებას, ვინაიდგან ამ ოთხ-ნახევარ თვის წინად კონტრექსვილში სულთანის წარმომადგენელსა და კომიტეტს შორის დადგენილი მორიგება არ იქმნა აღსრულებულიო. ამ დასის მიერ ჟენევაში დაარსებულ იქმნა ახალი გაზეთი „ოსმანლი“, რომლის პირველი ნომერიც უკვე მივიდა კონსტანტინეპოლში.

**პარიჟი.** აგიტაცია, რომელიც შემჩნეული იყო ბურბანის სასახლის დერეფანში, როგორც ეტყობა, წყნარდება. მაიორ რავარის დღეს დილით არავისათვის ჩამოურთმევია ჩვენება. ნაშუადღევს ჩვენება უნდა ჩამოართვას ესტერგაზის. „Patrie“ დაბეჯითებით ამბობს, რომ რავარიმ დიდად შესანიშნავს კვალს მიაგნო: კვალს საერთაშორის შეთქმულებისას, რომელსაც ჰხელმძღვანელობს სინდიკატი და ამ სინდიკატს ფულად დახმარება საზღვარ გარეთიდან მოსდის.

**ბერლინი.** რეიხსტაგი. ნაციონალ-ლიბერალმა გამმახერმა განაცხადა, რომ უნდა შეწყნარებულ იქმნას საზღვაო პროექტი, რომელიც საბიუჯეტო კომისიას აქვს გარდაცემულიო. საზოგადოდ აქ იმ აზრისანი არიან, რომ მას შემდეგ, რაც შუა-გული დასი წინააღუდგა ამ პროექტს, უფრო მოსალოდნელია, რომ იგი შეწყნარებულ იქმნასო.


# განცხადებანი




(5—209—3)

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიაში**
ისყიდება შემდეგი წიგნები:

საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართლის ცხოვრება . . | 8 | „ |
| იგივე ფრანგულად ნათარგმნი ბროსეს მიერ . | 8 | 20 |
| ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . . . | „ | 40 |
| ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით | 10 | „ |
| ნ. ნიკოლაძის ნაწერები . | „ | 30 |
| კეთილი ძალლი . . . | „ | 20 |
| თხზულ. მამია გურიელისა | 1 | „ |
| ქრონიკები თ. ჟორდანიასი | 3 | „ |
| ისტორიული ნარკვევი, ალ. ჰყონიასი . . . . . | 1 | 50 |
| ნ. ნიკოლაძე. ბიოგრაფია | „ | 20 |
| აკაკი წერეთელი. გიოგრაფია . . . | „ | 15 |
| ამირან-დარეჯანიანი . | 1 | „ |
| ჩვენი ახალი მწერლობა სალარაძისა . . . , | „ | 40 |
| ბუნება და ცხოვრება ი. ალხაზიშვილისა . . | „ | 60 |
| გედეები საყმაწვილო წიგნი | „ | 20 |
| პარტახი მოთ. ნინოშვილისა . . . . . . | „ | 20 |
| ორი ეტიუდი . . . . . | „ | 20 |
| როგორა ცხოვრობდენ ადამიანები ძველად . . | „ | 25 |
| სახალხო ლექსები და ლეგენდები . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . . | 1 | „ |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი . . . . . | „ | 70 |
| მეფე გიორგი ბრწყინვალე, ურბნელისა . . . . . | „ | 20 |